ბუკნარი

კიდევ ერთი რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტის ადგილი

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ბუკნარი - კიდევ ერთი რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტის ადგილი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2021

მიმოხილვის ავტორი: ქამრან მამედლი, კონსტანტინე ჩაჩიბაია, ქეთი ჩუთლაშვილი

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ნინო ხიდიშელი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზანად ისახავს სოფელ ბუკნარში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) გამოვლენილი კონფლიქტის დინამიკისა და კონტექსტის ჩვენებას, ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში რელიგიური კონტექსტების მქონე კონფლიქტების გაჩენის მიზეზების ანალიზსა და რელევანტური სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების გაზიარებას.

დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასებები 2021 წლის 14 და 15 იანვარს სოფელ ბუკნარში მიმდინარე მოვლენებში ჩვენს დაკვირვებასა და მუსლიმი და ქრისტიანი თემების წარმომადგენლებთან ჩაწერილ ინტერვიუებს ეფუძნება. კვლევის გუნდმა სოფელ ბუკნარში დამატებითი საველე გასვლები მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში და ივნისის ბოლოს დაგეგმა. გუნდმა სცადა ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ თემთან პოსტკონფლიქტური გამოცდილების, განწყობებისა თუ რეალობის შესწავლა.

სოფელი ბუკნარი - ზოგადი სოციალური კონტექსტის აღწერა

სოფელი ბუკნარი ჩოხატაურის მუნიციპალური ცენტრიდან 12 კმ-ითაა დაშორებული. 2014 წლის საყოველაო აღწერის მიხედვით, სოფელში 775 მოსახლე ცხოვრობს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოფლის მოსახლეობა 500 ადამიანს ითვლის, სადაც მუსლიმი და ქრისტიანი თემის თანაფარდობა თითქმის თანაბარია. მაცხოვრებლების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან და მეცხოველეობასთან. მათ ნაწილს სამუშაოდ წასვლა საზღვარგარეთ უწევს, ძირითადად თურქეთში. ბუკნარში მუსლიმი მოსახლეობა პირველად დაახლოებით 50-70 წლის წინ დასახლდა. მუსლიმი თემის ძირითადი ნაწილი ბუკნარში ახლომდებარე სოფლიდან, ზოტიდან გადმოსახლდა. მათი გადმოსახლების უმთავრეს მიზეზად დიდი ოჯახები და მათ სოფელში მცირე მიწიანობის პრობლემა სახელდება. მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობა სოფელში შერეულადაა დასახლებული და მათი გეოგრაფიული განლაგება არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად დაყოფილი, ან სეგრერირებული. თუმცა ადგილობრივები სოფლის სხვადასხვა უბანზე საუბრობენ, როგორც „აჭარლების მხარეზე“.

სოფლის ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა აღნიშნავს, რომ კონფლიქტამდე სოფელში თანაცხოვრების პოზიტიური გამოცდილება არსებობდა. მართალია, მოსახლეობა ვერ იხსენებს შერეულ ოჯახების მაგალითებს, თუმცა, ამბობენ, რომ კონფლიქტამდე ხშირი იყო დღესასწაულების და ლხინის კოლექტიურად აღნიშვნის შემთხვევები. ამასთანავე, სოფლის მოსახლეობა საუბრობს სოციალურ მხარდაჭერის პრაქტიკებზე.[1] მაგალითად, მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობა იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა სოფელში ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, მუსლიმი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მატერიალურად ეხმარებოდა ქრისტიან მრევლს რამადანის მარხვის პერიოდში ეკლესიის მშენებლობის პროცესში.

ერთი შეხედვით, სოფელში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის მატერიალურ ნიადაგზე მკვეთრი განსხვავებები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ორივე ჯგუფი მეორე მხარეს უფრო პრივილეგირებულად, ან შეძლებულად მიიჩნევს. მუსლიმი მოსახლეობის განცდით,

[1] “რას ჰყვება თამაზ ქამადაძე სოფელში რელიგიურ დაპირისპირებაზე“, ჟურნალი ,,ბათუმელები“, 17.01.2021. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=314122433338423

ქრისტიანებს აქვთ უფრო ვრცელი მიწა და მეტი შესაძლებლობები. ხოლო, ქრისტიანი მოსახლეობა ფიქრობს, რომ მუსლიმი მოსახლეობა ეკონომიკურად უფრო შეძლებულია, მათი შრომის ეთიკის და პრაქტიკის გამო.

ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა აცხადებს, რომ კონფლიქტის დაწყებამდე, ისინი სოფელში ურთიერთპატივისცემით და მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, ზოგიერთი ადგილობრივი მუსლიმი იხსენებს, რომ კონფლიქტამდეც სოფელში „ქრიტიანების პრესტიჟი უფრო დიდი იყო, ვიდრე მუსლიმების". გაუცხოების განცდებზე ირიბად საუბრობენ ქრისტიან თემშიც. ერთ-ერთი ქრისტიანი ქალი აღნიშნავს, რომ მუსლიმები ჩვენს სოფელში საკუთარ მიცვალებულებს არ ასვენებენ და სოფელში სასაფლაოს მოწყობა არ უნდათო.

ერთ-ერთი ადგილობრივი მუსლიმის მიხედვით, აქამდე არსებული მეგობრობაც და თანაცხოვრებაც ქრისტიანების უპირატესობის აღიარებაზე და მუსლიმების სიჩუმეზე იყო დაფუძნებული. „თუ აქამდე შენი მტერი არ ვიყავი, ახლა რატომ ვარ შენი მტერი?" - კითხულობს ის და აცხადებს, რომ იგი ეხმარებოდა სოფლის ეკლესიის მშენებლობას, და ქრისტიანები თუ არ დაეხმარებიან მუსლიმებს სალოცავი სივრცის მოწყობაში, ხელი მაინც არ უნდა შეუშალონ მათ.

მუსლიმი თემის წევრები წინამდებარე კვლევის ჯგუფთან საუბარში გამოხატავენ წუხილს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ისინი თითქმის არ არიან წარმოდგენილები. „ჩოხატაურის მერიაში დამლაგებელიც კი არ არის მუსლიმი" - აცხადებს ერთ-ერთი მუსლიმი ქალი. მუსლიმების განწყობაზე ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი და სხვა რეგიონებში რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტების გამოცდილება, ისევე, როგორც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის გაჭიანურებული პროცესი ასევე გავლენას ახდენს.

სალოცავი სივრცის საჭიროება და მისი ორგანიზების მცდელობები

სოფელ ბუკნარში მეჩეთის მშენებლობაზე საჯარო მსჯელობა ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო. მუსლიმი თემის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბუკნარის მიმდებარე სოფლებში (ზოტი, ნასაკირალი) ფუნქციონირებს მეჩეთები, მათთვის გზისა და დამატებითი ფინანსური ხარჯის გათვალისწინებით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მათ სოფელშივე ჯამეს (სალოცავი სივრცის) ორგანიზება. თემის წევრების განმარტებით, ამ საკითხის გარკვევის მიზნით მათ მიმართეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს და გაიგეს ადგილობრივი, მართლმადიდებელი თემის აზრიც. მართლმადიდებელი თემი მეჩეთის მშენებლობას მაშინვე შეეწინააღმდეგა იმ მოტივით, რომ ბუკნარი ,,ქრისტიანული მიწა" იყო და დაუშვებელი იყო აქ ისლამური სალოცავის გახსნა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება იმ დროს არ მიიღო და მუსლიმი თემი ოფიციალური პასუხის გარეშე დატოვა. სწორედ ამიტომ მათ, უარი თქვეს მეჩეთის მშენებლობაზე და ლოცვა კვლავ საკუთარ სახლებში ინდივიდუალურად გააგრძელეს.

ვინაიდან პარასკევს ჯუმა ლოცვის კოლექტიური შესრულება ისლამური რწმენისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია, და ამავე დროს ადგილობრივ მუსლიმებს არ სურდათ მათი მართლმადიდებელი მეზობლების სურვილის წინააღმდეგ წასვლა, 2020 წელს მუსლიმმა თემმა გადაწყვიტა შეეგროვებინა თანხა და შეეძინა სოფლის ცენტრიდან მოშორებით მდგარი საცხოვრებელი სახლი. მათი განმარტებით, მეზობლების გაღიზიანების თავიდან არიდების მიზნით არ დაუგეგმავთ შეძენილ სახლზე მინარეთის აღმართვა, ან აზანისთვის (ლოცვისთვის მოხმობა) ხმის გამაძლიერებლების დამონტაჟება შენობაზე. სწორედ ამ მიზნით, მათ

დაახლოებით 10 თვის წინ სოფლის განაპირა მხარეს, სადაც არც ერთი ახლომდებარე სახლი არ დგას, მუსლიმი მეზობლისგან, (რომელიც წალკაში გადავიდა საცხოვრებლად) კერძო საცხოვრებელი სახლი შეიძინეს და სალოცავი სივრცე მოაწყეს. კონფლიქტამდე 7 თვის განმავლობაში მუსლიმები ამ სივრცეში რეგულარულად იკრიბებოდნენ პარასკევის ლოცვისთვის. ისინი განმარტავენ, რომ მართალია, მათ ადგილობრივი მართლმადიდებლებისთვის სახლის შეძენისა და ლოცვის პრაქტიკის შესახებ უშუალოდ არ უთქვამთ, თუმცა, მუსლიმი თემის კოლექტიური ლოცვის გამოცდილება მათთვის აღქმადი უნდა ყოფილიყო. მუსლიმები კატეგორიულად უარყოფენ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მათ აღნიშნული სახლი თურქეთის მხარდაჭერით შეიძინეს. ამ პროცესის მოთავე მოხუცმა დეტალურად გაგვიზიარა თანხის შეგროვებისა და ჯამეს ორგანიზების მიზნით ამ სოფლის მუსლიმი ოჯახების მიერ დაწყებული პროცესი.

ქრისტიანი თემის წარმომადგენლებთან ჩაწერილ ინტერვიუებში ჩანს, რომ საკუთარი უკმაყოფილების დასაბუთებას იცინი ცდილობენ იმ არგუმენტებით, რომ სალოცავი სივრცის გახსნის შესახებ მათ მეზობლებმა არაფერი უთხრეს და რაღაც ეტაპზე პარასკევს მეზობელი სოფლებიდან სხვა მორწმუნეებმაც დაიწყეს სიარული. მათი თქმით, მუსლიმებს ამის უფლება კონსტიტუციით ჰქონდათ, მაგრამ მათ სამეზობლო ურთიერთობის ლოგიკა უნდა დაეცვათ. საკუთარ ნარატივებში ისინი ცდილობენ შეუწყნარებლობის მოტივების გადაფარვას და არაღიარებას, რაც გარკვეულწილად ჩასაჭიდი უკანდახევა და რეფლექსიაც შეიძლება იყოს.

კონფლიქტის ესკალაცია და ძალადობრივი გამოცდილებები

ადგილობრივებთან საუბრისას დგინდება, რომ სოფლის მაცხოვრებლებს შორის ურთიერთობა 2020 წლის დეკემბერში დაიძაბა, მას შემდეგ რაც სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუსლიმი თემი სოფელში მეჩეთის აშენებას გეგმავდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმმა თემმა აღნიშნული ფაქტი უარყო და ადგილობრივ მართლმადიდებელ მოსახლეობას განუმარტა, მათ მხოლოდ პარასკევის ლოცვის კოლექტიური შესრულება სურდათ კერძო სახლში, რომელიც სალოცავად მოაწყეს, ამ აღიარებამ და დაპირებამ მეზობლებს შორის დაძაბულობა ვერ გადაჭრა.

ადგილობრივი მოსახლეობა განმარტავს, რომ რელიგიურ ნიადაგზე მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მუსლიმი და მართლმადიდებელი თემის წევრებს შორის ადგილი ჰქონდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის რამდენიმე ფაქტს. კერძოდ, თემის წევრები აღნიშნავენ, იანვრის თვეში, პარასკევს ლოცვის მიზნით სალოცავ სახლში მისულ მუსლიმებს გზად ერთ-ერთი მართლმადიდებელი ქალი დახვდათ, რომელმაც მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. იგი ყვიროდა, რომ მისი თემი არ დაუშვებდა ბუკნარში მეჩეთის მშენებლობას და მუსლიმი მეზობლების მიმართულებით ქვებს ისვროდა. აღნიშნულ ინციდენტს შეესწრნენ სალოცავ სახლთან მობილიზებული პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ქალბატონი ადგილიდან გაიყვანეს. მუსლიმებს მხოლოდ ამის შემდგომ მიეცათ ლოცვის შესაძლებლობა.

მომხდარი ინციდენტის შემდგომ, ძალადობის კიდევ ერთი შემთხვევა სოფელში დაფიქსირდა 2021 წლის 10 იანვარს. მუსლიმი რესპოდენტების განმარტებით, ერთ-ერთმა მართლმადიდებელმა მეზობელმა მუსლიმების სახლებში დაიწყო ჩამოვლა და შეურაცხმხყოფელი ენით მათთან დავა, რომ მეჩეთის გახსნა ქრისტიანულ სოფელში შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ მსგავსი შემთხვევის დროს ერთ-ერთი მუსლიმი მისი

მეზობლის სიტყვიერ შეურაცხყოფის და ხელის ქნევით საუბარის საპირისპიროდ მას გაუსწორდა. მომხდარ ინციდენტს სხვაგვარად აღწერენ ჩვენ მიერ გამოკითხული მართლმადიდებლები. მათი განმარტებით, სოფელში, ქუჩაში მყოფმა ერთ-ერთმა მუსლიმმა უკმაყოფილება გამოხატა, რომ მეზობელი მართლმადიდებელი მას არ მიესალმა და ფიზიკურად გაუსწორდა.

2021 წლის 10 იანვარს მომხდარი ინციდენტის შესახებ ცნობილი გახდა პოლიციისთვის, რომელმაც იმავე დღეს დაიწყო გამოძიება და დაპირისპირებული პირები პოლიციის განყოფილებაში გამოკითხა. დაზიანებებთან დაკავშირებით დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც. პოლიციის თანამშრომლებმა დაპირისპირებული პირები გააფრთხილეს თავი შეეკავებინათ კონფლიქტისგან და შერიგებისკენ მოუწოდეს. თუმცა ვითარება მალევე, 12 იანვარს კვალავ დაიძაბა და კიდევ უფრო მძიმე ძალადობის ფორმა მიიღო.

12 იანვარს მომხდარ შემთხვევას, რომელიც კონფლიქტის დინამიკაში კულმინაციურ ფაზას წარმოადგენდა, განსხვავებულად აღწერენ ჩვენ მიერ გამოკითხული მუსლიმი და მართლმადიდებელი თემის წევრები. მუსლიმების განმარტებით, 12 იანვარს მუსლიმი და მართლმადიდებელი თემის ორ წევრს შორის კვლავ სიტყვიერ შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი. მუსლიმი თემის წარმომადგენლის ოჯახის წევრები და ახლობლები ვითარების გარკვევის მიზნით სოფლის ცენტრში შეკრებილ მართლმადიდებელ მეზობლებთან მივიდნენ. მისვლისთანავე ერთ-ერთმა მართლმადიდებელმა მათ სიტყიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კონფლიქტი მალევე ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ფიზიკური დაპირისპირების დროს მართლმადიდებელმა გ.ს.-მ თავის არეში ქვა ჩაარტყა ორ მუსლიმს, მათ შორის, ადგილზე მყოფ არასრულწლოვანს. ორივე პირმა თავის არეში მძიმე დაზიანებები მიიღო და საჭირო გახდა მათი ჰოსპიტალიზება.

12 იანვარს მომხდარი ძალადობის დინამიკას სხვაგვარად აღწერენ მართლმადიდებელი რესპოდენტები. მათი თქმით, 12 იანვარს მუსლიმი თემის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ პროვოკაციულ ქმედებას ჰქონდა ადგილი, რის შემდგომაც ადგილზე სხვა მუსლიმებიც მივიდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ადგილზე მყოფ მართლმადიდებელს. დაპირისპირებული ჯგუფის გაშველების დროს ერთ-ერთი მუსლიმი ფიზიკურად შეეხო ადგილზე მყოფ მართლმადიდებელ ქალს, რამაც გ.ს.-ს გაღიზიანება გამოიწვია. მან ქვა აიღო და უმისამართოდ რამდენჯერმე მოიქნია, რასაც მოჰყვა ორი ახალგაზრდის დაზიანება.

სოფლის მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობაც აღნიშნავს[2], რომ მომხდარი ინციდენტის დროს ადგილზე იმყოფებოდა პოლიციის ერთი ეკიპაჟი. სამართალდამცავები ასევე შეეცადნენ დაპირისპირებული მხარეების გაშველებას და მათი აღქმით, დროულად შეძლეს სიტუაციის განმუხტვა. მომხდარის ირგვლივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე

[2]პირდაპირი ეთერი ბუკნარიდან, გურია ნიუსი 13.01.2021. 6:18 წუთიდან EMC-ის წარმომადგენლების მიერ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/gurianews/videos/412653606638878/

დაწყებულია გამოძიება და დაკავებულია გ.ს., რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა[3].

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ბუკნარში სიტუაცია 13 იანვარსაც დაიძაბა[4], როდესაც ადგილობრივი მუსლიმი თემის მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით ქართველი მუსლიმები სხვადასხვა რეგიონიდან (ძირითადად აჭარიდან) ჩავიდნენ. პოლიციის თანამშრომლები მათ სოფელში შესვლისა და სოფლის ცენტრში შეკრებილ მოქალაქეებთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მუსლიმების ჯგუფებმა გაარღვიეს პოლიციის კორდონი და სოფელში შევიდნენ. ამ ინციდენტს რაიმე სახის ძალადობა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა თემებს შორის არ მოჰყოლია. თუმცა, სხვა პირების (outsiders) ჩართვას პროცესში ადგილობრივი მართლმადიდებლების უკმაყოფილების და შიშების გაძლიერება მოჰყვა. მართლმადიდებელი თემი იხსენებს, რომ კორდონის გარღვევამ მათში უსაფრთხოების შიშები გააძლიერა. პოლიციამ მათ მკაცრი მითითებები მისცა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სახლებში. ეს ფაქტი მათ თავდასხმად აღიქვეს. ჩვენთან საუბარში ამ ეპიზოდს ადგილობრივი მართლმადიდებელი თემი ჰიპერტროფირებულად აღწერს და მუსლიმების მიმართ გავრცელებული საფრთხის ნეგატიურ სტერეოტიპებს იყენებს.

მოსახლეობასთან საუბრის დროს ვლინდება, რომ კონფლიქტის მხარეების წუხილები და პოზიციები მათ შიშებზე და ღირსების დაცვაზეა აგებული. ქრისტიანი მოსახლეობა აცხადებს, რომ ქართულ მიწაზე მეჩეთების აშენებას არ დაუშვებს. მათი გადმოსახედიდან, ეს არის საქართველოს ისტორიის და ღირსების დაცვის მცდელობა. ამასთანავე, ისინი ხაზგასმით საუბრობენ, რომ კონფლიქტის შემდეგ, 13 იანვარს, როცა სხვა მუსლიმები გამოჩნდნენ ადგილობრივი მუსლიმების მხარდასაჭერად და მათ განსაკუთრებული შიში განიცადეს სოფელში უცხო ადამიანების გამოჩენისა თუ შემოჭრის გამო.

მეორე მხრივ, ადგილობრივი მუსლიმები აცხადებენ, რომ მათ დაინახეს მეზობელი ქრისტიანების რეალური სახე, როცა მათ არასრულწლოვანი გაწირეს სასიკვდილოდ და ბავშვს, მასთან ერთად კიდევ ერთ ადამიანს თავი ქვით გაუტეხეს. მუსლიმი ქალები საკუთარი შვილების ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე წუხილს ღიად გამოხატავენ და სოფელში დარჩენის რისკებზე საუბრობენ. ამასთან, მუსლიმი მოსახლეობა აცხადებს, რომ დაიღალნენ საკუთარი ქართველობის მტკიცებით. ისინი არიან სრულფასოვანი ქართველები, საქართველოს მოქალაქეები და მათი რელიგიური კუთვნილება არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ ვინმემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მათი ქართველობა. თემის თქმით, ლოცვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და ამის ხელშეშლა დაუშვებელია.

პოლიციის როლი და მოქმედებები ძალადობრივი ინციდენტების ჯაჭვში

მუსლიმი რესპოდენტების განმარტებით, სოფელ ბუკნარში მუსლიმ და მართლმადიდებელ თემს შორის დეკემბრისა და იანვრის თვეში მომხდარ კონფლიქტურ ინციდენტებზე

[3] „გურიის პოლიციამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ერთი პირი დააკავა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდი, 12.01.2021. ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/guriis-politsiam-chokhatauris-munitsipalitetshi-momkhdar-intsidenttan-dakavshirebit-1-piri-daakava/14274

[4] „დაპირისპირება გურიაში - სოფელ ბუკნარში პოლიციაა მობილიზებული“, ტელეკომპანია ფორმულა,13.01.2021. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=hJjaqqIM1sQ

აქტიურად რეაგირებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. კერძოდ, 2021 წლის 10 და 12 იანვარს მომხდარი ფიზიკური ძალადობის ორივე შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება და ერთ შემთხვევაში დააკავა სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირიც.

პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პროაქტიული რეაგირების მიღმა, თემის წევრები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ცნობილი გახდა შესაძლო კონფლიქტის შესახებ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აქტიურად დაიწყეს სოფელში პატრულირება. პოლიციის ერთი ან ორი ეკიპაჟი დღეში რამდენჯერმე გადადგილდებოდა სოფლის ტერიტორიაზე. მუსლიმი თემის წევრები აღნიშნავენ, რომ პარასკევობით საპატრულო პოლიციის ერთი ეკიპაჟი სოფლის ცენტრში იდგა, ხოლო მეორე უშუალოდ სალოცავი სახლის მიმდებარედ.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იხსენებს, 2021 წლის 12 იანვარს მომხდარი ინციდენტის დროს სოფლის ცენტრში აგრეთვე იმყოფებოდა პოლიციის ერთი ეკიპაჟი, ხოლო კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად ადგილზე დაახლოებით 10-15 პოლიციელი მობილიზდა. ადგილობრივების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური დაპირისპირების პრევენცია ვერ მოახერხეს, მალევე შეძლეს დაპირისპირებული მხარეების განცალკევება და ვითარების განმუხტვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობა მოგვიანებით მოლაპარაკებების პროცესშიც ჩანდა. 13 იანვარს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს გურიის პოლიციისა და აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და შემდგომ დღეებშიც ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. პოლიციის თანამშრომლების განსაკუთრებული მობილიზება შეიმჩნეოდა 15 იანვარს, როდესაც სოფელ ბუკნარში მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით შედგა შეხვედრა მართლმადიდებელი და მუსლიმი თემის წევრებს შორის. შეხვედრის დაწყებისთანავე სამართალდამცავებმა ორი ცოცხალი კორდონით გადაკეტეს სოფლის ცენტრისკენ მისასვლელი გზა (სადაც შეხვედრა იმართებოდა), მუსლიმი და ქრისტიანი თემები დააშორიშორეს ერთმანეთს და მხოლოდ კონკრეტულ პირებს და მედიასაშუალებებს მიეცათ შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა.

სკოლის მასწავლებლების სავარაუდო მონაწილეობა კონფლიქტში

სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლაში საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემების[5] თანახმად 119 მოსწავლე სწავლობს. აქედან ნაწილი მუსლიმია, ნაწილი ქრისტიანი. ადგილობრივების ინფორმაციით, სკოლაში მხოლოდ ერთი მასწავლებელია მუსლიმი.

მუსლიმი თემი სკოლის მასწავლებლების როლს კონფლიქტის გამწვავების კუთხით უარყოფითად აფასებს. მუსლიმების თქმით, კონფლიქტამდე სკოლაში არ ყოფილა ღია ინდოქტრინაციის ან მიზანმიმართული პროზელიტიზმის ფაქტები. ამის მიუხედავად, მათი გადმოცემით, ცალკეული დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მუსლიმი მოსწავლეების წარმატებების აღიარების კუთხით ზოგიერთი მასწავლებლის მხრიდან წინა წლებში მაინც შეინიშნებოდა. ბოლო თვეებში მიმდინარე მოვლენებმა, მუსლიმი ოჯახების ნაწილი იმაზეც დააფიქრა, რომ თავიანთი შვილები ბუკნარის სკოლაში სასწავლად არ გაეშვათ. სკოლის

[5] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი. ხელმისაწვდომია:
http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=detals&school_code=3796

მიმართ ამგვარი პროტესტი სოციალურ ქსელებში მუსლიმების მიმართ შეურაცხმყოფელმა პოსტებმა გამოიწვია, რომელსაც ადგილობრივების განცხადებით, ბუკნარის საჯარო სკოლის მასწავლებლები ავრცელებდნენ ან/და მხარს უჭერდნენ. აღნიშნული ფეისბუქ პოსტების ძირითადი შინაარსი თათრებისგან/გათათრებისგან „ქრისტიანული სოფლის“ დაცვის მოწოდებებს შეიცავდა. მუსლიმები თვლიან, რომ სოციალურ ქსელებში გაჩენილი ეს მოწოდებები სოფელში სალოცავის ამოქმედების შემდეგ გაჩნდა. მათი მისამართით გამოყენებული ტერმინი „თათარი“ მუსლიმებმა შეურაცხყოფად მიიღეს. მათთვის ასევე გაუგებარი დარჩა, თუ რატომ იყო სოფელი დასაცავი მათგან. მასწავლებლების ან სკოლის დირექტორის მხრიდან მათ ადეკვატური პასუხი ვერ მიიღეს ამ პრეტენზიებზე. ჩვენთან საუბარში ადგილობრივი მუსლიმები აცხადებდნენ, რომ მათთვის უცნობია მისცეს თუ არა შესაბამისი მითითება იმ მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სიძულვილის ენის გავრცელებაში.

15 იანვარს მიღწეული შერიგების შემდეგ, მუსლიმმა თემმა ამ თემაზე მსჯელობის და რეაგირების ინტერესი აღარ გამოხატა. მათ არც მასწავებლების მიერ გაზიარებული პრობლემური შინაარსის ამსახველი მტკიცებულებები გაგვაცნეს, რაც მასალის დეტალური ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემდა.

კონფლიქტის მედიაციის პროცესი

სოფელ ბუკნარში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ცნობილი 2020 წლის 13 იანვარს გახდა. თუმცა მანამდე თითქმის 1 თვის განმავლობაში მეზობელ თემებს შორის მოლაპარაკებების პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით უკვე დაწყებული იყო. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის, ირაკლი კუჭავას განმარტებით, მუნიციპალიტეტმა დაპირისპირებულ მხარეებთან 12 იანვრის ინციდენტამდე 7 შეხვედრა გამართა.[6] მუსლიმი თემის განმარტებით (და როგორც ეს მოგვიანებითაც გამოჩნდა) მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული მოლაპარაკებები სათანადოდ ეფექტიანი არ იყო. ამ ეტაპზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროს ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი შეთავაზება მეზობელი თემებისთვის, მუსლიმების მიერ შეძენილი სალოცავი სივრცის მუსლიმი და ქრისტიანი თემების შერჩეული ლიდერებისთვის საერთო საკუთრებაში გადაცემა გახლდათ, რაც მუსლიმი თემისთვის არ იყო მისაღები.[7]

ვითარების გამწვავების შემდეგ, 13 იანვარს ბუკნარში გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია და ჩოხატაურის მერი ირაკლი კუჭავა ჩავიდნენ მოლაპარაკებების გასამართად.[8] საბოლოოდ, ეს მოლაპარაკებაც უშედეგოდ დასრულდა. 14 იანვარს ჩოხატაურის მერიასთან გამოკითხული მუსლიმები ჩვენთან აცხადებდნენ, რომ 13 იანვარს გამართულ შეხვედრას მათი რეალური წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ და თან იმის გამო, რომ ეს შეხვედრა არც მხარეების და არც სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით არ შედგა, მას სოფელში

[6] „მედია: ჩოხატაურში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების შედეგად სამი ადგილობრივი დაშავდა“, Civil.ge. 13.01.2021. ხელმისაწვდომია:https://civil.ge/ka/archives/390996

[7] „სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის შედეგი –NGO-ები ბუკნარზე“, ტელეკომპანია მთავარი, 13.01.2021. ხელმისაწვდომია:https://mtavari.tv/news/28896-sakhelmcipos-diskriminatsiuli-arasekularuli

[8] „რა ხდება ჩოხატაურში – დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე“, ჟურნალი ,,ბათუმელები“, 13.01.2021. ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/322770/

უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის გარანტია ვერ ექნებოდა. ამასთან, მერიასთან შეკრებილი ადამიანების გამოხატულ მოსაზრებებში ჩანდა კიდევ უფრო ღრმა წუხილები და იმედგაცრუება, ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის რადიკალური ცვლილების აუცილებლობის მოთხოვნა.

14 იანვარს მთელი დღის განმავლობაში ჩოხატაურის მერიასთან შეკრებილ მომიტინგეებს რატომღაც მხოლოდ შსს სამინისტროს წარმომადგენლები ესაუბრებოდნენ და მიუხედავად შეკრებული ხალხის მოთხოვნისა, პოლიტიკური აქტორები მათ საღამომდე არ შეხვდნენ. მხოლოდ მოგვიანებით და არაერთი კრიტიკის შემდეგ, ჩოხატაურში ჩავიდა სრულიად საქართველოს მუფტი და პრობლემის გადაჭრის პირობა მისცა შეკრებილებს.[9] ამის მიუხედავად, შეკრებილმა ადამიანებმა პროტესტი გააგრძელეს. იმავე საღამოს ადგილზე ჩავიდა ვასილ ჩიგოგიძე (გურიის მაჟორიტარი), რომელმაც მომდევნო დღეს, პარასკევს შერიგების მონაწილეებს შეხვედრის ორგანიზების პირობა გასცა.

აღნიშნული შეხვედრა უკვე სოფელ ბუკნარში 15 იანვარს პარასკევის ჯუმა ლოცვის დასრულების შემდეგ შედგა. მოლაპარაკებების წინ სოფელში შეიმჩნეოდა პოლიციის ჭარბი მობილიზაცია და კორდონებით მხარეების დაშორიშორებისა და უსაფრთხოების დაცვის მაღალი ზომები. ამას ჩვენი დაკვირვებით, იქ მყოფი ადამიანებისთვის გამაუცხოებელი ეფექტი უფრო ჰქონდა.

სოფელი ბუკნარის კულტურის ცენტრში ორგანიზებული მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: ვასილ ჩიგოგიძე (გურიის მაჟორიტარი) და ნინო წილოსანი, საქართველოს საპატრიარქოს და მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები, სხვა მუსლიმი ლიდერები და ადგილობრივი რელიგიური თემებიდან 10-10 წარმომადგენელი.[10] განმარტებებისა და თანაცხოვრების გამოცდილების ემოციური გაზიარების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტი ამოიწურა და მეზობლები მშვიდობიან თანაცხოვრებას გააგრძელებენ.[11]

მიმდინარე მოვლენების პარალელურად ბოლო დღეებში სახელმწიფო უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საჯარო განცხადებები გააკეთეს. ისინი მხარეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ და ხაზს უსვამდნენ საქართველოში რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებას.[12]

პოსტკონფლიქტური მდგომარეობა ბუკნარში

კონფლიქტის შემდეგ სოფელ ბუკნარში კიდევ ორჯერ ვიყავით ხანგრძლივი ვიზიტით მარტის თვის დასაწყისში და ივნისის თვის ბოლოს. შეხვედრების დროს გავესაუბრეთ ადგილობრივ

---

[9] "სრულიად საქართველოს მუფტი ჩოხატაურში მუსლიმებთან შესახვედრად ჩავიდა", ჟურნალი ,,ბათუმელები", 14.01.2021. ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/322880/

[10] „ბუკნარის ქრისტიანი და მუსლიმი მკვიდრნი „მშვიდობიან თანაცხოვრებაზე" შეთანხმდნენ", Civil.ge. 15.01.2021. ხელმისაწვდომია:https://civil.ge/ka/archives/391517

[11] „მხარეები ამბობენ, რომ შერიგდნენ და გურიაში რელიგიური დაპირისპირება ამოიწურა", ,,ნეტგაზეთი``, ხელმისაწვდომია:https://netgazeti.ge/news/512283/

[12] „ქვეყნის პირველი პირები რელიგიური შემწყნარებლობის მნიშვნელობაზე საუბრობენ", Civil.ge. 14.01.2021. ხელმისაწვდომია:https://civil.ge/ka/archives/391203

ქრისტიან და მუსლიმ თემს; გამოვიკითხეთ შერიგების შემდგომ პერიოდში სოფელში არსებული მდგომარეობა, თემთაშორისი ურთიერთობები და განწყობები.

კონფლიქტის შემდეგ პერიოდშიც სოფელში გამოვლინდა რამდენიმე ნაგატიური გამოცდილება, რომელმაც თემთაშორისი მშვიდობიანი თანაცხოვრება დააზიანა.

2021 წლის 2 მარტს ბუკნარში დაფიქსირდა კიდევ ერთი ფიზიკური ძალადობის ფაქტი, როცა ადგილობრივი ქრისტიანი რ. მ. ერთ-ერთი აქტიური მუსლიმის ოჯახში მივიდა. მან გინებისა და შეურაცხყოფის კვალდაკვალ ოჯახის უფროსთან შეხვედრა მოითხოვა. რ.მ.-მ დანა ამოიღო და მას მოკვლით დაემუქრა. თავდამსხმელი ყვიროდა, რომ „ბუკნარის მაგინებლებზე“ შური უნდა ეძია. სიტუაციის განმუხტვა მეზობელმა ქალებმა შეძლეს და პოლიცია გამოიძახეს. პოლიციამ რ. მ. დააკავა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სამართალდამცავმა ორგანომ სოფელში პატრულირება გააძლიერა. ამ ფონეზე დაზარალებული ოჯახი აცხადებდა, რომ ისინი და არც სხვა მუსლიმი მეზობლები სოფელში უსაფრთხოდ თავს აღარ გრძნობენ. მუსლიმები წუხან, რომ თემთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები დაზიანდა და ახლა პოლიციის ძალით უწევთ თავის დაცვა, რაც ნორმალური არ არის.

მუსლიმებმა ასევე გაიხსენეს გაზაფხულის პერიოდში მათ სოფელში ჩატარებული სოფლის კრების ნაგატიური გამოცდილება; კერძოდ, როდესაც მეზობელი ქრისტიანები შეხვედრაზე მათთან ერთად ერთ დარბაზში არ შევიდნენ სოფლის საერთო საჭიროებების განსახილველად. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კი აშკარად არ აღმოაჩნდათ ამგვარი სიტუაციის მართვისა და მედიაციისთვის საჭირო ცოდნა თუ გამოცდილება.

მუსლიმი თემი კვლავ კრიტიკულად განიხილავს სოფლის საჯარო სკოლაში არსებულ მდგომარეობას. მუსლიმი მშობლების თქმით, მათ განზრახ არ მოუთხოვიან კონფლიქტში ჩართული მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ვითარებას სკოლაში დაძაბავდა. თუმცა, სკოლის კრების დროს ამ მასწავლებლების მხრიდან სინანული და შეცდომის აღიარების მცდელობა, განწყობა ვერ იგრძენს. უფრო მეტიც, მათ მოაძახეს, რომ „ტერორისტები“ დააყენეს სოფელში და ისინი ჩართეს პროცესში. აღსანიშნავია, რომ მუსლიმი თემის ეს უკმაყოფილება სკოლის ყველა პედაგოგზე არ ვრცელდება და ასახელებენ ისეთ მასწავლებლებსაც, რომელსაც კონფლიქტში ნეიტრალური და სამშვიდობო პოზიცია ეჭირათ მაშინაც და ახლაც.

ადგილობრივი მუსლიმების განსაკუთრებული უკმაყოფილება სკოლასთან კავშირში გამოიწვია სკოლის მიკროავტობუსის მძღოლის პოზიციაზე იმ ადამიანის ზემოქმედებამ, რომლის მეუღლესაც მიიჩნევენ კონფლიქტის ერთ-ერთ ორგანიზატორად. მათი თქმით, თავად მძღოლიც მუსლიმებს ფიზიკურად დაუპირისპირდა. ამ პიროვნების მიმართ მიუღებლობა იმდენად მაღალია, რომ როგორც ამბობენ, მუსლიმმა მოსწავლეებმა თავად თქვეს უარი აღნიშნული მძღოლის ტრანსპორტით გადაადგილებაზე და პროტესტის ნიშნად ფეხით დადიოდნენ სკოლაში. მუსლიმი მოსწავლეების მშობლები შეიკრიბნენ და სკოლის ადმინისტრაციას აღნიშნული მძღოლის გათავისუფლება, სკოლაში უსაფრთხოებისთვის პროფესიონალი მანდატურის, ხოლო სკოლის სამეურვეო საბჭოში მათი ნდობით აღჭურვილი პირების დანიშვნა მოითხოვეს. თუმცა, მათი თქმით, ეს მოთხოვნები სკოლამ და ადგილობრივმა რესურს-ცენტრმა სათანადოდ არ გაიზიარა და მუსლიმი მოსწავლეებისთვის სხვა მძღოლი გამოიყო. პრობლემური გამოცდილების მქონე მძღოლი მაინც დარჩა თავის პოზიციაზე; მანდატურის როლი/ფუნქცია ადგილობრივ მასწავლებელს შეუთავსეს, რომელიც

არ არის სათანადო ცოდნით აღჭურვილი, რომ პოზიტიურად მართოს გარემო სკოლაში. ამასთანავე, სამეურვეო საბჭოში ახალი და აქტიური წევრები არ დაამატეს. მუსლიმი თემისთვის მიუღებელია, რომ ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები ფაქტობრივად სხვადასხვა მიკროავტობუსით, სეგრეგირებულად გადაადგილდებიან. მათი აზრით, ეს ბავშვებს შორის გაუცხოებას აღრმავებს.

მუსლიმი თემი იხსენებს, მე-12 კლასის მოსწავლეების გამოსაშვებ ღონისძიებას. ამ დღეს მასწავლებლები არ შეურთდნენ მათ ზეიმს და მხოლოდ ერთ ქრისტიან მოსწავლესთან ერთად გადაიღეს საზეიმო სურათები. ფოტოები მოგვიანებით სოციალურ ქსელშიც გავრცელდა.

ჩვენ შევხვდით ადგილობრივ მასწავლებლებსაც. მათში მაღალია სირცხვილის განცდა, იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელი ნეგატიურად წარმოჩინდა. მათი თქმით, ქრისტიანები და მუსლიმები ამ სოფელში ბოლო წლებია ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები და ის, რაც მოხდა უფრო დაინტერესებული აქტორების და პოლიტიკის ბრალია. ამის მიუხედავად, მასწავლებლებშიც მკვეთრად სუსტი იყო მიმდინარე მოვლენების კრიტიკული წაკითხვის მცდელობა და თანასწორობის მგრძნობელობა.

სკოლის მიმართ მუსლიმი მშობლების უნდობლობას აღრმავებს ის ფაქტიც, რომ იქ მხოლოდ ერთი მუსლიმი მასწავლებელია. მაშინ როცა სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა მუსლიმია. ზოგიერთი მშობელი განიხილავს ბავშვისთვის შინ სწავლების ან სხვა სკოლაში გადაყვანის საკითხსაც.

ადგილობრივები წუხან, რომ თემთაშორისი ურთიერთობა კვლავ მძიმეა. ისინი არ ესალმებიან ერთმანეთს და არ იზიარებენ საერთო სოციალურ სივრცეებს; ერთმანეთის დაბადების დღეებზე სიარულისგანაც კი თავს იკავებენ. ადგილობრივები ფიქრობენ, ამას კიდევ ერთი დაპირისპირება შეიძლება მოჰყვეს.

ადგილობრივების ხედვა კონფლიქტის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ურთიერთგაუცხოებისა თუ კონფლიქტის შემდეგ შექმნილი ტკივილის მიუხედავად, ადგილობრივი ქრისტიანი და მუსლიმი თემი მზადყოფნას გამოთქვამს ნამდვილი შერიგებისთვის, ასევე თემთა შორის ნდობის აღდგენის მშენებლობისთვის. ადგილობრივი მუსლიმები ფიქრობენ, რომ ეს პროცესი სახელმწიფოს და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერით უნდა მოხდეს; ამისთვის საჭიროა გარე აქტორების და რესურსების ჩართვა. ადგილობრივი ქრისტიანები კი მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი თავისით მოგვარდება და გარე პირების ჩართვა საჭირო არ არის.

მუსლიმი თემის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტის მოგვარება სამართლიანად მოხდეს და სახელმწიფომ გაიაზროს ქართველი მუსლიმი თემის წუხილები და თანასწორ მოქალაქეებად დაინახოს. ისინი განიცდიან, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზეც კი ნაკლებად არიან წარმოჩენილები და ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორის, ისინი არ არიან დასაქმებულები თვითმმართველობის ადმინისტრაციაში, არ არიან წარმოდგენილები საკრებულოში (სოფელი ზოტის მაჟორიტარი წარმომადგენლის გარდა) და მმართველი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივ რიგებშიც კი. მუსლიმი თემის თქმით, მათმა ახალმა თაობამ უკვე ხმა აიმაღლა და სამოქალაქო პოზიციებს კრიტიკულად აფიქსირებს. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ უნდა დაინახოს ის მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები, რომელიც ქართველ მუსლიმ თემში ხდება. ამის გათვალისწინებით არსებითად

მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში განუხრელად დაცული იყოს თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპები.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ადგილობრივ რელიგიურ თემებში ერთმანეთზე წარმოდგენები გარკვეულ ჰიპერტროფირებას და გამოგონილ ფაქტებს ეფუძნება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ჩანს მართლმადიდებელ თემში, რომელიც საკითხების გეოპოლიტიზირებას ცდილობს და მუსლიმების მიმართ (ძირითადად სხვა სოფლებიდან სოლიდარობის ნიშნად ჩამოსული სხვა მუსლიმი ახალგაზრდების მიმართ) საფრთხის აღქმის წინასწარ განწყობებს იზიარებს. მხარეებმა არ იციან ერთმანეთის სიმართლე ძალიან მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებითაც კი და ეს გამოცდილება ართულებს შერიგებას. მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში მხარეებს შორის ურთიერთგაგების და პრობლემური, გაზვიადებული წარმოდგენების გადაფასების ძირეული საკითხები დაიფაროს.

ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ თემს თანაცხოვრების რამდენიმე წლიანი ისტორია აქვს. მუსლიმებიც და მართლმადიდებლებიც იხსენებენ საერთო პოზიტიურ გამოცდილებებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელში ეკლესიის მშენებლობის საქმეში მუსლიმებმაც წვლილი შეიტანეს . კერძოდ, რამადანის მარხვის დროს ისინი მშენებლებთან ერთად შრომობდნენ. არსებობს სხვადასხვა დღესასწაულზე საერთო ზეიმების და სუფრების გამოცდილება. პერიფერიულ რურალურ გარემოში თემთა შორის ურთიერთობები დამატებით მნიშვნელობებს იღებს. სოციალური კავშირები და მხარდაჭერა აქ უფრო მაღალია, ვიდრე ურბანულ სივრცეებში და ამ ქსოვილში გაჩენილი კონფლიქტები კიდევ უფრო მძიმე ტრამვატულ კვალს ტოვებს ადამიანებზე. ამავდროულად ამგვარ ველს კონფლიქტის ტრანსფორმაციის და კავშირების აღდგენის უფრო მეტი პოტენციალი აქვს. თანაცხოვრების მეხსიერება, ყოველდღიური სოციალური კავშირები და გაზიარებული სივრცეები მათ დაახლოების მეტ შესაძლებლობებს აძლევს. მნიშვნელოვანია, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ეს რესურსი და სპეციფიკა სახელმწიფომ სათანადოდ გაითვალისწინოს. დაკვირვების ველზე მსგავსი ფრაზები გვესმოდა ადგილობრივებისგან: *„დღეს შეიძლება ღობის მეზობელს გამარჯობა აღარ ვუთხრა, ცრემლებიც კი წამომსვლია ამის გამო;“ “ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვინც დათმობაზე არ წავა;“ „ჩამოვართვით ხელი, მაგრამ არ გვილაპარაკია, ეს არასწორია;“ „ტკივილის შეგრძნება იმიტომ არის, ახლობლები ვართ. ჩვენ ვერ შევიძულებთ ერთმანეთს. ამდენი ხანია შეზრდილი ვართ ერთად. ძუძუმტეობა და მეჯვარეობაა გვაქვს;“ „ჩადრიანი ბებოების კალთაში გავიზარდეთ.“*

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, როგორც ადგილობრივი თემები აცხადებენ, მათ შორის გაუცხოების მიზეზი სოციალური ქსელები გახდა. ის, რაც რეალურ სივრცეში ადამიანებს შორის არ ითქმება, ვირტუალურად უფრო ადვილი გამოსახატი ხდება. მათი აზრით, თემთა შორის ნდობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია რეალური დიალოგისა და კავშირების შენება. ამგვარი პროცესის მიმართ ინტერესი და ემოციური მზადყოფნა ორივე თემში არსებობს.

ადგილობრივი თემები ხშირად საუბრობენ დაინტერესებულ გარე ძალაზე, თუმცა ამ პოზიციებს არ ასაბუთებენ. რამდენიმე მათგანმა ახსენა, მეჩეთის მშენებლობის დაპირება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რომელიც ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან მოგვიანებით გახმოვანდა. ამგვარი დაპირების ფაქტს უარყოფენ მუსლიმი თემის ლიდერები, ვინც ჯამეს ორგანიზებაში ჩართული იყო. მართლმადიდებელი თემი, გარე ძალებზე მსჯელობის დროს ირიბად თურქულ

ინტერესებზეც საუბრობს, თუმცა, ამ პოზიციას არ აზუსტებს და გაბატონებული ეს ყოველივე, ნარატივის გამოყენებას უფრო გავს.

ადგილობრივ თემებთან დისკუსია აჩვენებს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის განსაკუთრებული რესურსი სკოლას აქვს. მნიშვნელოვანია, სკოლის ადმინისტრაციის მიმართ მუსლიმი თემის ნდობის დაბრუნება და ამისთვის ინსტიტუციური გარანტიების შექმნა. ჩვენი დაკვირვებით, სკოლის ადმინისტრაცია მზად არ არის დამოუკიდებლად შეიმუშავოს თანასწორობაზე, მულტიკულტურალიზმზე და სოლიდარობაზე დაფუძნებული პროგრამები. მას ამ საქმეში მხარდაჭერა სჭირდება.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში დასანახია ადგილობრივი ხელისუფლების როლიც. თუმცა, მის მიმართ ადგილობრივი თემის ნდობა, განსაკუთრებით კი მუსლიმი თემის ნდობა შედარებით დაბალია. მათი თქმით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ კვირების განმავლობაში ორგანიზებული შეხვედრების მიუხედავად, ვერ შეძლო კონფლიქტის პრევენცია და მას ამისთვის საკმარისი ცოდნა და მგრძნობელობა არ აღმოაჩნდა. მუსლიმი თემის მოსაზრებით, თუ ცენტრის და შესაბამისი გამოცდილების მქონე აქტორების ინტერვენცია ბუკნარში მიმდინარე მოვლენებში დროულად მოხდებოდა, ეს კონფლიქტს დააზღვევდა.

მიკრო სოციალურ ველში გამოვლენილი კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი გამოცდილებების შესწავლა და მშვიდობის მშენებლობის ადგილობრივი პრაქტიკების დაკვირვება. ხშირად ადგილობრივმა მოსახლეობამ უკეთ იცის, თუ როგორი უნდა იყოს მშვიდობის მშენებლობაზე მიმართული სამუშაოების მოდელები და გამოცდილება, რადგან მათ ყოველდღიურობაში თავად უწევთ ამგვარი გამოცდილებების შექმნა [13]. კონფლიქტის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივები განვიხილოთ არა როგორც ობიექტები, რომლებიც გარედან სწავლებასა და დისციპლინირებას უნდა დაექვემდებარონ იმისთვის, რომ ისინი მშვიდობის რაციონალური აგენტები გახდნენ, არამედ მათი სუბიექტებად დანახვა, რომელთაც უკვე აქვთ ყოველდღიურობაში მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო მოლაპარაკებების, კომპრომისების ძიების გამოცდილება. სწორედ ამიტომ მშვიდობის მშენებლობის პროცესში ადგილობრივი თემის ლიდერების მოსმენა და სამშვიდობო პროცესის მიმართ მათი მიკუთვნებულობის შექმნა აუცილებელია.[14] ამასთან, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ტრადიციების, სოციალური და კულტურული ნორმების მხედველობაში მიღება. ამასთან მნიშვნელოვანია მშვიდობის მშენებლობის პროცესმა არ გამოტოვოს ადგილობრივდონეზე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ძალაუფლებების ასიმეტრიულობა და სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო აქტორების პასუხისმგებლობები და როლები ამ პროცესში[15].

პროცესის სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება

[13] Philippa Williams, Everyday Peace? Politics, Citizenship and Muslim lives in India, Chichster: Miley Blckwell, 2015.
[14] Bojicic-Dzelilovic, Vesna and Mary Martin, “Wholly local? Ownership as Philosophy and Practice in Peacebulding intervantions”, 2018
[15] A Coomunitarina Peace Agenda for the South Caucasus: Supporting Everyday Peace practices, Vadim Romashov, Nuriyya Guliyeva, Tatia Kalatozishvili, Lana Kokaia, Journal of Conflict Transformation, Caucasus Edition Voulme 3, Issue 1, 2018

ჩვენ მივიჩნევთ, რომ შერიგებისთვის და დეესკალაციისთვის გადადგმული პირველადი ნაბიჯები მნიშვნელოვანი იყო, თუმცა არსებითია რომ სახელმწიფო უწყებებმა შეისწავლონ ამგვარი კონფლიქტების სისტემური სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური მიზეზები და მას საკანონმდებლო და ინსტიტუციურ, ასევე მაკრო და მიკრო სოციალურ დონეებზე პოზიტიური ჩარევითა თუ რეფორმებით უპასუხონ.

სოფელ ბუკნარში ქართველი მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი რელიგიური შევიწროება არ არის პირველი შემთხვევა. რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტების ჯაჭვი გამოვლინდა წინა წლებშიც სოფელ ციხისძირში (2011), სოფელ ნიგვზიანში (2012), სოფელ წინწყაროში (2013), სოფელ სამთაწყაროში (2013), სოფელ ჭელაში (2013), ქობულეთში (2014), სოფელ მოხესა (2014) და სოფელ ადიგენში (2016). უნდა ითქვას, რომ ყველა ამ კონფლიქტს საერთო სოციალური და კულტურული მიზეზები და კონტექსტები ჰქონდა. კონფლიქტი ეკომიგრანტი ოჯახებით დასახლებულ თემებში მულტი-რელიგილურ-ეთნიკურ თემებში ხდებოდა, სადაც მეზობელ თემებს თანაცხოვრების საერთო მეხსიერება და ტრადიცია სუსტი აქვთ. ამასთან, კონფლიქტები ძირითადად ხელისუფლების ტრანზიციის, ან არჩევნების კონტექსტს ებმოდა და ადგილობრივი თემების მხრიდან ახალი პოლიტიკური რეალობისა და დაპირებების განსხვავებულ წარმოდგენებს უკავშირდებოდა. ყველა შემთხვევაში ადგილობრივი ქრისტიანი თემის რიტორიკა ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის პარადიგმას ეფუძნებოდა და ,,ქართულ მიწაზე“ ისლამური სალოცავების თუ სხვა რელიგიური დაწესებულებების დაუშვებლობის ისლამოფობიურ/ზოგჯერ თურქოფობიურ სენტიმენტებზე იდგა. როგორც კონფლიქტების ისტორია გვაჩვენებს, ეს რიტორიკა კიდევ უფრო მძიმედ ვლინდება ქართველი მუსლიმი თემის მიმართ, რომელიც ეთნიკურად ქართველია და სწორედ ამიტომ მათი ისლამური თვითიდენტიფაკია გაბატონებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის ჩარჩოსთვის ორმაგად მიუღებელი ხდება.

სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებებს აღნიშნულ კონფლიქტებზე სათანადო სამართლებრივი და პოლიტიკური რეაგირება არ ჰქონიათ. ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციის განმუხტვა მუსლიმი თემის რელიგიური უფლებებისა და საჭიროების სრული უგულებელყოფის ხარჯზე მოხდა (მაგალითად, სამთაწყაროში ჯამეს გახსნა ადგილობრივი თემის მიერ შეძენილ კერძო სახლში მაინც ვერ მოხერხდა, ქობულეთის მუსლიმური პანსიონატი ამ დრომდე დაკეტილია, მოხის ისტორიული მეჩეთისთვის ამგვარი სტატუსის მინიჭება ამისთვის საგანგებოდ შექმნილი კომისიის მუშაობის მიუხედავად არ მომხდარა). ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა თითქმის არცერთ ინციდენტზე და რელიგიური დევნისა და ძალადობის ფაქტებზე არავის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია, მათ შორის, მაშინ როცა ადგილობრივი მუსლიმი გლეხების მიმართ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების აშკარა შემთხვევები დაფიქსირდა (ამ კუთხით სიზუსტისთვის უნდა ვახსენოთ მოხეში მუცლიმების ცემის ფაქტზე 7 წლის შემდეგ, ევროპული სასამართლოს ინტერევნეციის გამო მიღებული გადაწყვეტილება, როცა ორი ყოფილი პოლიციელის მიმართ პროკურატურამ დევნა დაიწყო[16]). უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების პრობლემის მიღმა, არცერთ შემთხევაში სახელმწიფო უწყებებს მსგავსი კონფლიქტის სისტემური მიზეზები არ შეუსწავლიათ და არ გაუტარებიათ გრძელვადიანი ტრანსფორმაციული

[16] მოხის საქმეზე პროკურატურის გადაწყვეტილება დაგვიანებული და მოჩვენებითია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/mokhis-sakmeze-prokuraturis-gadatsqvetileba-dagvianebuli-da-mochvenebitia

პოლიტიკა, რაც კონფლიქტის გამოცდილების მქონე თემებში ნდობის აღდგენას და სოლიდარული, თანასწორი თუ მულტიკულტურული სოციალური გარემოს შექმნას შეუწყობდა ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ ბუკნარში გამოვლენილი რელიგიური შევიწროების შემთხვევაზე სახელმწიფოს შედარებით აქტიური რეაგირება ჰქონდა. წინა გამოცდილებებისგან განსხვავებით, რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის სასარგებლო განცხადებები გაკეთდა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან. ადგილზე მედიაციის პროცესი ხარვეზებით, თუმცა მაინც დროულად დაიწყო და გამოჩნდა პოლიციის სამართლებრივი რეაგირებაც. თუმცა, დომინანტური რელიგიური თემის შიგნით გამოვლენილი პრობლემური ხედვებისა და სენტიმენტების, ასევე ჩვენს გარემოში გაბატონებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიის გათვალისწინებით, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გვგონია სახელმწიფომ სოფელი ბუკნარის თემში და ასევე, რელიგიური/ეთნიკური კონტექსტის მქონე კონფლიქტებთან მიმართებით გრძელვადიანი ტრანსფორმაციული პოლიტიკა გაატაროს.

სახელმწიფომ უნდა გაიაზროს, რომ ეთნოცენტრიზმი, შოვინიზმი, ისლამოფობია არის სოციალური კონსტრუქციები, ის გამსჭვალავს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტს და მასზე დაფუძნებული იდელოგიები ქმნის რისკებს საზოგადობის შეკავშირებისთვის. იდეოლოგია „ჩვენ“ და „ისინი“ დაყოფაზე დგას და გაუმართლებელ სოციალურ იერარქიებს ქმნის.[17] რელიგიური კონფლიქტები და ჩვენს რეალობაში გამოვლენილი კონფლიქტების ჯაჭვი ამ დაყოფისა და იერარქიზების ყველაზე მძიმე გამოვლინებაა. ყველა ამ კონფლიქტის ჰქონდა სოციალური ხასიათი და მას, არა კონკრეტული ორგანიზებული ჯგუფები და ინდივიდები წარმოშობდნენ, არამედ (დომინანტური) თემი კოლექტიურად, რაც პრობლემის სიმწვავესა და სისტემურობას ავლენს.[18] ამგვარ კონფლიქტებს ღრმა და კუმულაციური სოციალური შედეგები და ზეგავლენა აქვს არადომინანტურ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებზე და გაუცხოების[19], გარიყულობისა[20] და მეორეხარისხოვნობის[21] განცდას ქმნის. ამგვარი პრაქტიკები არსებითად აზიანებს საზოგადოების მთლიანობას და სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, არსებითია ამ პრობლემას სახელწიფო სტრუქტურული ცვლილებებით დაუპირისპირდეს და არამხოლოდ ერთჯერადი მიდგომებით.

ჩვენი ხედვით, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა კონკრეტულ თემში კონფლიქტის სისტემური სოციალური თუ კულტურული მიზეზების შესწავლასა და მის საპასუხოდ განათლების, კულტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის მიმართულებით

---

[17] „ბათუმის მეჩეთის საქმე“, EMC, 03.02.2020.
ხელმისაწვდომია:https://www.facebook.com/watch/?v=2284810785149655

[18] აჭარის უხილავი და ხილული საზღვრები“, EMC, 06.10.2020. ხელმისაწვდომია:
https://emc.org.ge/ka/products/acharis-khiluli-da-ukhilavi-sazghvrebi, ასევე:
https://www.facebook.com/watch/?v=336469190988991

[19] „გადამქართულდა“, აბაშიძე ჰურიე, 19.01.2021.
ხელმისაწვდომია:https://emc.org.ge/ka/products/gadamkartulda

[20] “ვინ ვარ“, ანანიძე ნესტან, 19.01.2021. ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/vin-var

[21] ,,წართმეული ქართველობა“, მიქელაძე ზაზა, 19.01.2021. ხელმისაწვდომია:
https://emc.org.ge/ka/products/tsartmeuli-kartveloba

სახელმწიფოს მხრიდან შეთანხმებული, ამასთანავე, თანამიმდევრული პოზიტიური ინტერვენციის გეგმის განხორციელებას უნდა გულისხმობდეს. პირველ რიგში, სამუშაო პროცესმა რელიგიური შევიწროებისა და დევნის მსხვერპლების აღქმები, ცხოვრებისეული გამოცდილებები და უკმაყოფილებები უნდა მოისმინოს, ამასთანავე კარგად გაიაზროს ის მძიმე სოციალური და ფსიქიკური კვალი, რომელსაც უმცირესობების თემებში ამგვარი გამოცდილებები ტოვებს. ცხადია, რომ ამ სამუშაოებმა ასევე უნდა მოიცვას გარიყულობის მატერიალური ასპექტების (უფრო დაბალი წვდომა სერვისებზე, რესურსებზე, უფლებებზე; ნაკლები შანსები განვითარებისთვის, სოციალური და ეკონომიკური გარიყულობა, სუსტი პოლიტიკური მონაწილეობა და ა.შ.) კვლევაც და მის საპასუხოდ დაგეგმილი ცვლილებები.

ჩვენი მოსაზრებით, ზემოთ დასახელებული კონფლიქტის სამუშაოები *მათ შორის,* უნდა მოიცავდეს 1. სკოლის შიგნით მულტიკულტურული გრძელვადიანი პროგრამების დანერგვას; 2. სკოლის სივრცეში გაჩენილი უნდობლობის დაძლევასა და მშობლებთან თუ მოსწავლეებთან ნდობის შენებაზე დაფუძნებული კომუნიკაციის აწყობას; 3. სოფლის სივრცეში კულტურული სივრცეების ინფრასტრუქტურის შექმნასა და მულტიკულტურული შინაარსის პროგრამების შეტანას; 4. დისკრიმინაციის, შევიწროების გამოცდილების მქონე ადამიანებთან სოციალური მუშაკების მუშაობის დაგეგმვას; 5. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მუსლიმი და ქრისტიანი თემებისთვის საერთო ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამების (მათ შორის, საგრანტო პროექტების) წახალისებას; 6. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სეკულარული და თანასწორობის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წუხილებისა და საჭიროებების მოკვლევას, მის შესახებ თემთან დემოკრატიულ დისკუსიას დაეფუძნება. მნიშვნელოვანია, რომ მთლიანობაში ყველა აღნიშნული ამოცანა და საქმიანობა თემის ლიდერებთან დემოკრატიული კონსულტაციების საფუძველზე დაიგეგმოს.

მიკრო სოციალურ დონეზე პოზიტიური, ტრანსფორმაციაზე მიმართული მუშაობის გარდა, მნიშვნელოვანია რელიგიის თავისუფლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებების გააზრება და ფუნდამენტური რეფორმების დაწყება.

ცალკე უნდა აღინიშნოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მოქმედი უწყების - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მკვეთრად არაეფექტიანი როლი და წლების განმავლობაში მისივე ორგანიზებული პოლიტიკის მძიმე შედეგები ამ კონფლიქტის კონტექსტშიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უწყების კომპეტენციაში რელიგიური დაპირისპირების გადაჭრის ხელშეწყობა შედის, სოფელ ბუკნარში გამოვლენილი კონფლიქტის გადაჭრაში უწყება აქტიური მონაწილე არ ყოფილა და მისი ჩართულობა მედიაციის პროცესში ხილვადი არ იყო. ეს უწყების მიმართ არსებული მკვეთრი კრიტიკითა და უნდობლობით უნდა აიხსნას. მეტიც, მედიაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის გაკეთებულ განცხადებებში[22] კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ ის რეალურ გამოწვევებსა და რელიგიური თემების საჭიროებებს ღიად უგულებელყოფს.

ამასთან ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს სოფელ ბუკნარის კონფლიქტზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მიმართ

[22] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის მედიაგამოსვლა, ხელმისაწვდომია: https://m.facebook.com/watch/?v=4259701250712511&_rdr

მუსლიმი თემის გაჟღერებულ კრიტიკას. ეს სწორედ სააგენტოს და უფრო მეტად მთავრობის მხრიდან არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების კონტროლზე დაფუძნებული პოლიტიკის[23] შედეგია.

წლების განმავლობაში რელიგიური ორგანიზაციები, ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორები, მათ შორის, სახალხო დამცველი, ვუთითებთ/ხაზს ვუსვამთ რელიგიის თავისუფლების სფეროში დაგროვილი არაერთი სისტემური გამოწვევის შესახებ[24], რომელიც კანონმდებლობის, ადმინისტრაციული პოლიტიკისა და ინსტიტუციური მოწყობის დონეზე, ასევე მიკრო სოციალურ/სათემო დონეზე არსებობს. ეს გამოწვევები უკავშირდება კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ჩანაწერებს (მაგალითად, დისკრიმინაციული ჩანაწერები რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების წესში, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში, ტყის კოდექსში), რელიგიური უმცირესობების საჭიროებებისა და უფლებების მრავალწლიან უგულებელყოფასა თუ გამოტოვებას (მაგალითად, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ კანონისა და პოლიტიკის არარსებობა, ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის და შენარჩუნების პრობლემა) პოლიტიკურ ენაში გამოხატულ არასეკულარულ და თანასწორობის საწინააღმდეგო შინაარსს, დისკრიმინაციულ, ადმინისტრაციულ პრაქტიკებს (მაგალითად, რელიგიური ნაგებობების მშენებლობის პროცესში წარმოშობილ დაბრკოლებებს, საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და დისკრიმინაციის შემთხვევებებს), რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე არაეფექტიან რეაგირებასა და პრევენციას.

2014 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაფუძნების შემდეგ არცერთი ზემოთ დასახელებული მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაჭრილა. ამის საპირისპიროდ, ჩვენ მუდმივად ვხედავდით სააგენტოს მკვეთრად რეგრესულ და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ინიციატივებს.

ჩვენი დაკვირვებით, ცვლილებების პროცესს არსებითად აფერხებს მთავრობის მიერ რელიგიის თავისუფლების სფეროს დანახვის პრობლემური პერსპექტივა და მისი ინსტიტუციური მოწყობა, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ამ სფეროში მთავრობის ექსკლუზიური აქტორად განიხილება. აღნიშნული უწყებისა და მისი პოლიტიკის არსებობის პირობებში რელიგიის თავისუფლების სფეროში პოლიტიკის პოზიტიური ცვლილება და ამისთვის აუცილებელი დემოკრატიული კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებთან შეუძელებლი ხდება, რადგან ხსენებულ უწყებას: 1. პრობლემური მანდატი და ბუნდოვანი კომპეტენციები აქვს, რომელიც მას თვითნებობის და არადემოკრატიული/გაუმჭირვალე მუშაობის შესაძლებლობებს აძლევს[25]; 2. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მეტწილად უსაფრთხოებაზე და

[23] არჩევნები სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში, EMC, 2019, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/archevnebi-sruliad-sakartvelos-muslimta-sammartveloshi

[24] რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, EMC, 2017, ხელმისაწვდომია: რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა

[25] რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, EMC, 2017, ხელმისაწვდომია: რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა

იერარქიებზე დაფუძნებული ხედვები აქვს[26]; 3. ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ინიციატივებზე მუშაობის გამოცდილება უფრო აქვს, ვიდრე უფლებების სასარგებლო მუშაობის; 4. რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა აქტორების დაბალი ნდობა აქვს. 5. უწყება საბოლოოდ არაეფექტიანიც არის, რადგან მნიშვნელოვანი კონფლიქტებისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების დროს, ის არც კი ჩნდება სცენაზე ან აზიანებს პროცესებს. აღსანიშნავია, რომ ამ უწყების მიმართ მკვეთრი კრიტიკა დაფიქსირებული აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტი უთითებს, რომ მასთან დისკუსიაში რელიგიურმა უმცირესობებმა გამოხატეს დაბალი ნდობა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ. ამავდროულად მათ სახალხო დამცველთან დააფიქსირეს მაღალი ნდობა არსებული რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც 33 რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს და ქმნის მათთვის ჰორიზონტალური და დამოუკიდებელი ორგანიზაციების ჩარჩოს.[27]

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) შეფასებით, მისი რეკომენდაცია, რომელიც საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა გაეძლიერებინა კომუნიკაცია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და სახალხო დამცველს შორის, არ შესრულდა და სააგენტომ არ გადადგა სერიოზული ნაბიჯები საბჭოსთან თანამშრომლობის მიზნით. კომისია ხაზს უსვამს, რომ თანამშრომლობის ნაცვლად, ამ ორ ორგანოს შორის შეინიშნება დაძაბულობა, ასევე, ცალსახა აცდენაა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მათ პოზიციებს შორის. ეს გამოვლინდა 2017 წელს საკონსტიტუციო ცვლილებების შემუშავების პროცესში, როდესაც იყო ინიციატივა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის. ამ ინიციატივის წინააღმდეგ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არ გამოვიდა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი სიგნალი იყო რელიგიური ჯგუფებისთვის და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის განეხილათ სააგენტო, როგორც რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისთვის შექმნილი ინსტრუმენტი.[28]

რწმენისა და რელიგიის თავისუფლების **ოსლოს კოალიციის** შეფასებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან მის ჩაწერილ ინტერვიუში დადასტურდა ის მნიშვნელოვანი წუხილები, რომელიც მათ შეხვედრამდე ჰქონდათ: მისი მანდატი არ არის ცხადი; პასუხისმგებლობები და ძალაუფლება არ არის ნათელი; მას არ გააჩნია პროცედურული სახელმძღვანელოები მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელებისთვის; არ აქვს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მექანიზმები. ამდენად, ჩანს, რომ სააგენტო, რომელიც მთავრობის უწყებაა, მის არსებით მისიად ხედავს არა რელიგიის თავისუფლების

[26] „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის“ შეფასება, EMC, 2015, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/sakartvelos-sakhelmtsifos-religiuri-politikis-ganvitarebis-strategiis-shefaseba

[27] Third Opinion on Georgia adopted on 7 March 2019, FCNM, available at: https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56

[28] ECRI, Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia, Subject to interim follow-up, Adopted on 5 December 2018, available at: https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e

დაცვას ყველა მოქალაქისთვის, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური და მატერიალური ინტერესების დაცვას.[29]

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების პროცესზე **საერთაშორისო ექსპერტის, მეგი ნიკოლსონის** ანგარიშში იკითხება, რომ სააგენტო დაარსდა 2014 წელს, როგორც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო, თუმცა, ეს უწყება მცირე ნდობით სარგებლობს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ნაცვლად იმისა, სააგენტო მიიჩნეოდეს რელიგიის თავისუფლების დაცვის უწყებად, ის განიხილება, როგორც რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის მექანიზმი. ამის შესახებ არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა აქტორის მიერ. [30]

ჩვენი შეფასებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არსებობა პირველივე წლებიდან არსებითად აფერხებს რელიგიის თავისუფლების სფეროში ცვლილებისთვის საჭირო დიალოგს, რადგან მან რელიგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის და ადამიანის უფლებათა აქტორებისთვის უნდობლობისა და კონფლიქტის ველი შექმნა. იმის გამო, რომ აღნიშნული უწყება ყველა ჯერზე ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო, რეგრესულ ინიციატივებს აყენებდა ან ლობირებდა. მოლოდინი, რომ უწყებას აქვს რესურსი აუცილებელი რეფორმების პროცესში პოზიტიური როლი შეასრულოს, უკიდურესად დაბალია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სააგენტოს არსებობისა და მანდატის საკითხის გადაწყვეტა, მთავრობის მხრიდან ცვლილებების ნებისა და მზადყოფნის პირდაპირი საზომია.

რეკომენდაციები

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და სხვა რელევანტური სახელმწიფო ორგანოების მიმართ:

საქართველოს მთავრობამ

შეიმუშავოს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის რეფორმის თანამიმდევრული გეგმა, რომელიც ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციებს, ასევე სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან[31] და ადამიანის უფლებათა აქტორებთან ორგანიზებულ დემოკრატიულ კონსულტაციებს დაეფუძნება;

---

[29] Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests: The Constitutional Agreement's Departure from the Georgian Principle of Equality, The Oslo Coalition of Freedom of Religion and Belief, available at:
https://www.jus.uio.no/smr/english/about/programmes/oslocoalition/news/report_georgia_til_nett.pdf?fbclid=IwAR3_ZT6xuU9FbqsygRij8uGUPiwBqWRS_6_72eEwm7an5npj-dLy9FdboO8

[30] საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, საერთაშორისო ექსპერტის, მეგი ნიკოლსონის, მიერ მომზადებული შეფასება, 17 ოქტომბერი, 2019, ხელმისაწვდომია:
https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/publications/Georgia-human-rights-2019.html

[31] სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020, ხელმისაწვდომი:
https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf

გააუქმოს სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციისა და პოლიტიკის კოორდინაციის ახალ ინსტიტუციურ მოდელებზე იმუშავოს, რომელიც დაეფუძნება შექმნილი ნეგატიური გამოცდილებების კრიტიკულ ანალიზსა და შესაბამის აქტორებთან დემოკრატიულ კონსულტაციებს;

სხვადასხვა უწყების ერთობლივი მონაწილეობითა და ინტერდისციპლინური ცოდნების, ინსტრუმენტების გამოყენებით შეიმუშავოს და განახორციელოს სოფელ ბუკნარსა და რელიგიური კონტექსტის კონფლიქტების გამოცდილების ან ამგვარი რისკების მქონე თემებში კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და სოციალურ ცვლიებებზე მიმართული გრძელვადიანი სამუშაოები.

საქართველოს პარლამენტმა

რელიგიის თავისუფლების სფეროში მთავრობის პოლიტიკა დაუქვემდებაროს მის საგანგებო ზედამხედელობას;

სახალხო დამცველის, სახალხო დამცველის ქვეშ არსებულ რელიგიათა საბჭოს, ადამიანის უფლებათა ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციების შუქზე დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც რელიგიური უმცირესობების მიმართ უფრო თანასწორი გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ

შეისწავლოს ბუკნარის სკოლაში გაუცხოების შემქნელი ვითარების მიზეზები და დანერგოს სკოლაში თანასწორი, მრავალფეროვანი და სოლიდარული გარემოს მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი პროგრამები. ამასთან, იმუშავოს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების გაძლიერებაზე დემოკრატიულ კომპეტენციებში მათი ცოდნის, სენსიტიურობის გაზრდის მიზნი>

შეიმუშავოს სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები და პროგრამები საჯარო სკოლებში მულტიკულტურული, თანასწორი გარემოს შექმნისთვის და პირველ რიგში აღნიშნული პროგრამები დანერგოს რელიგიური და ეთნიკური კონტექსის კონფლიქტის გამოცდილების ან ამგვარი რისკების მქონე თემების სკოლებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

შეიმუშავოს და დანერგოს რელიგიურ და ეთნიკური კონფლიქტების იდენტიფიკაციის, პრევენციისა და სათანადო რეაგირების ინსტრუქციები, რომელიც სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებებსა და ადამიანის უფლებების სტანდარტებს დაეფუძნება;

კიდევ უფრო გააძლიეროს რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და მათზე შიდა უწყებრივი მონიტორინგი.

საქართველოს პროკურატურას

გააძლიეროს რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესზე ზედამხედველობა და სამართლიანი, ასევე ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს

მისი კომპეტენციების ფარგლებში, სამოქალაქო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, შეიმუშავოს თანასწორობის მხარდამჭერი პროგრამები მულტირელიგიურ და მულტიეთნიკურ სოფლებში; განსაკუთრებით გააძლიეროს მულტიკულტურული მიდგომების დანერგვა ადგილობრივი კულტურის პოლიტიკაში;

გააძლიეროს მისი თანამშრომლების ცოდნა რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და კონფლიქტების ტრანფრომაციისა და მართვის სფეროში;

გააძლიეროს ქართველი მუსლიმი თემისა და სხვა უმცირესობების რეპრეზენტაცია და მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკაში და ამისთვის დანერგოს სპეციალური პოზიტიური მექანიზმები;

ბუკნარში თემთა შორის ნდობის აღდგენის და კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნით შექმნას პროგრამები (სოფლის მეურნეობის, ახალგაზრდული, კულტურული და ა.შ.), რომელიც თემთა შორის თანამშრომლობას და მონაწილეობას დაეფუძნება.

საქართველოს სახალხო დამცველსა და მასთან არსებულ რელიგიათა საბჭოს

რელიგიური/ეთნიკური კონტექსტის კონფლიქტის გამოცდილების და ამგვარი რისკების მქონე სოფლებსა და ქალაქებში გააძლიეროს თანასწორობაზე, მრავალფეროვნებაზე და სოლიდარობაზე მიმართული სამუშაოები, რაც ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ეფექტიან მონიტორინგსა და სახელმწიფო უწყებებისთვის რელევანტური რეკომენდაციების მომადებას, თემის ლიდერებს შორის დიალოგის შენებას, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან (საჯარო მოხელეები, მასწავლებლები, რელგიიური ლიდერები და ა.შ) მდგრად საგანმანათლებლო სამუშაოებს გულისხმობს.

სამოქალაქო და დონორ ორგანიზაციებს

გააძლიერონ საკუთარი ინტერესები და სამუშაოები რელიგიური/ეთნიკური კონტექსტის კონფლიქტების გამოცდილების და ამგვარი რისკების მქონე სოფლებსა და ქალაქებში და კონფლიქტის მშვიდობიანი, გრძელვადიანი ტრანსფორმაციის დემოკრატიული პროცესების შექმნას შეუწყონ ხელი.